<p>8. მხარეთა პასუხისმგებლობა</p> <p>8.1 „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, „მხარეები“ პასუხს აგებენ „ხელშეკრულებით“ და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p> <p>8.2 „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ შესრულების ვადის გადაცილებისათვის, „GWP“ უფლებამოსილია დააკისროს „კომპანიას“ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე „ნასყიდობის ფასის“ 0.1%-ის ოდენობით ან/და თითოეული დარღვეული ვალდებულებისთვის 100 (ასი) ლარის ოდენობით.</p> <p>8.3 „მხარეთა“ მიერ „ხელშეკრულების“ პირობების დარღვევის შემთხვევაში, პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მხარეებს“ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.</p> <p>8.4 წინამდებარე „ხელშეკრულების“ ზოგად პირობებზე ხელმოწერით „კომპანია“ აღიარებს და ეთანხმება,</p>	<p>8 Liability of the Parties</p> <p>8.1 In case of non-fulfilment or improper fulfillment of the obligations provided for in the "Agreement", the "Parties" shall be liable according to the present "Agreement" and in the manner established by the legislation of Georgia.</p> <p>8.2 In case of non-fulfilment or improper fulfillment of the obligations under the "Agreement", including but not limited to delayed performance of obligations, "GWP" is authorized to request from the "Company" penalty in the amount of 0.1% of the Purchase Price" for each overdue day and/or in the amount of 100 (one hundred) GEL for each breached obligation.</p> <p>8.3 In case of violation of the terms of the "Agreement" by the "Parties", the payment of the penalty does not release the "Parties" from fulfilling their obligations under the "Agreement".</p> <p>8.4 By signing this "General Terms of Agreement", the "Company" acknowledges and agrees that in the event that during the term of this "Agreement" the "Company" accrues any payable penalty and/or fine and/or compensation for damages in favor of GWP,</p>

<p>რომ იმ შემთხვევაში, თუ ამ „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის განმავლობაში „კომპანიას“ GWP-ის მიმართ გადასახდელი ექნება რაიმე სახის პირგასამტეხლო ან/და ჯარიმა ან/და ზიანის საკომპენსაციო თანხა, GWP უფლებამოსილია ასეთი პირგასამტეხლოს ან/და ჯარიმის ან/და ზიანის საკომპენსაციო თანხა დაქვითოს ნებისმიერი მიმდინარე გადასახდელი ვალდებულებიდან, მიუხედავად იმისა, თუ რის საფუძველზე წარმოიშვა იგი.</p> <p>8.5 წინამდებარე „ხელშეკრულების“ დანართით (ეთიკის და ქცევის კოდექსი, ანტიკორუფციული პოლიტიკა, გაეროს გლობალური შეთანხმება) გათვალისწინებული განცხადებების, გარანტიების და ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში GWP უფლებამოსილია მოსთხოვოს „კომპანიას“ მიყენებული ზიანის სრულად ანაზღაურება, მათ შორის „ხელშეკრულების“ ვადამდე შეწყვეტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, იქნება ეს პირდაპირი თუ ირიბი, მატერიალური თუ არამატერიალური, ფაქტობრივი თუ მიუღებელი შემოსავალი და/ან სხვა.</p>	<p>GWP may subtract such penalties, and/or fines and/or compensation for damages from any current monetary obligation, regardless of the basis on which it arose.</p> <p>8.5 For failure to duly comply with the representations, warranties and obligations provided in this Agreement or in the Annex of this Agreement (Code of Ethics and Conduct. Anti-Corruption Policy. UN Global Compact) GWP may request from the “Company” reimbursement of damages in full, including but not limited to damages caused by early termination of this “Agreement”, whether direct or indirect, material or non-property, factual or lost profit, etc.</p>
<p>9. „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადამდე შეწყვეტა</p> <p>9.1 წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შედის „მხარეთა“ მიერ მისი ხელმოწერის თარიღში და ძალაშია „მხარეთა“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და წარმატებით შესრულებამდე.</p> <p>9.2 წინამდებარე „ხელშეკრულების“ შეწყვეტა მისი მოქმედების ვადის ამოწურვამდე შესაძლებელია:</p> <p>(ა) დაუყოვნებლივ, „კომპანიის“ მიერ, თუ GWP არსებითად დარღვევს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ ვალდებულებას და მიუხედავად დარღვევის გამოსწორების თაობაზე წერილობითი მოთხოვნის (შეტყობინების) მიღებისა, ამავე მოთხოვნაში (შეტყობინებაში) მითითებულ ვადაში, არ გამოსწორებს ამგვარ დარღვევას;</p> <p>(ბ) დაუყოვნებლივ, GWP-ს მიერ, თუ „კომპანია“ დარღვევს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ მის რომელიმე ვალდებულებას ან პირობას და მიუხედავად დარღვევის გამოსწორების თაობაზე წერილობითი მოთხოვნის (შეტყობინების) მიღებისა, ამავე მოთხოვნაში (შეტყობინებაში) მითითებულ ვადაში, არ გამოსწორებს ამგვარ დარღვევას;</p> <p>(გ) დაუყოვნებლივ, GWP-ს მიერ, მისთვის ყოველგვარი პასუხისმგებლობის (მათ შორის რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ან პირგასამტეხლოს)</p>	<p>9 Termination of the Agreement before its Maturity</p> <p>9.1 This "Agreement" enters into force on the date of its signature by the "Parties" and is valid until the "Parties" have fully and duly fulfilled their obligations.</p> <p>9.2 This "Agreement" can be terminated before its expiration date:</p> <p>(a) by the "Company" with immediate effect, if GWP materially violates the obligation provided for in this "Agreement" and despite receiving a written demand (notification) to correct the violation, does not correct such violation within the time specified in such demand (notification);</p> <p>(b) by GWP with immediate effect, if the "Company" violates any of its obligations or conditions under this "Agreement" and despite receiving a written demand (notice) to correct the violation, within the time specified in such demand (notice), fails to correct such violation;</p> <p>(c) by GWP with immediate effect, without incurring any liability (including for any damages or Penalties) if the "Company" breaches any confidentiality obligations under this</p>

<p>დაკისრების გარეშე, თუ „კომპანია“ დაარღვევს წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას ან წინამდებარე „ხელშეკრულების“ დანართით (ეთიკის და ქცევის კოდექსი, ანტიკორუფციული პოლიტიკა, გაეროს გლობალური შეთანხმება) გათვალისწინებულ განცხადებებს, გარანტიებს და ვალდებულებებს;</p> <p>(დ) ნებისმიერ დროს, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე GWP-ს მიერ „კომპანიისათვის“ სულ მცირე 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინებით; ან</p> <p>(ე) ნებისმიერ დროს, „მხარეთა“ ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით.</p> <p>(ვ) „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.</p> <p>9.3 თუ „ხელშეკრულება“ „კომპანიამ“ მაშინ შეწყვეტა, როდესაც GWP მოკლებული იყო შესაძლებლობას, სხვაგვარად უზრუნველყო თავისი ინტერესები, „კომპანიამ“ უნდა აუნაზღაუროს GWP-ს „ხელშეკრულების“ შეწყვეტით მიყენებული ზიანი, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა „კომპანიას“ ამისათვის მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა და აღნიშნულის შესახებ ცნობილი იყო GWP-სათვის.</p> <p>9.4 „მხარეები“ თანხმდებიან, რომ „ხელშეკრულების“ ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის (მოშლის) შემთხვევაში, GWP „კომპანიას“ აუნაზღაურებს მხოლოდ შეწყვეტის თარიღამდე ფაქტობრივად მიღებული „საქონლის“ ან/და „მომსახურების“ ღირებულებას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც „ხელშეკრულების“ შეწყვეტის საფუძველს წარმოადგენს „კომპანიის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა), რაც დადასტურებული უნდა იყოს „მხარეთა“ მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტით. ამასთან GWP-ს მიერ „ხელშეკრულების“ მოშლის შედეგად მიყენებული ზიანი/ზარალი (იქნება ეს პირდაპირი თუ ირიბი, მატერიალური თუ არაქონებრივი, ფაქტობრივი თუ მიუღებელი შემოსავალი და/ან სხვა) არ ანაზღაურდება და „კომპანია“ წინასწარ, გამოუთხოვად და უპირობოდ უარს აცხადებს „ხელშეკრულების“ მოშლის შედეგად მიყენებული ზიანის/ზარალის (იქნება ეს პირდაპირი თუ ირიბი, მატერიალური თუ არამატერიალური, ფაქტობრივი თუ მიუღებელი შემოსავალი და/ან სხვა), ამგვარის არსებობის შემთხვევაში, ანაზღაურების მოთხოვნაზე.</p> <p>9.5 წინამდებარე „ხელშეკრულების“ მოქმედების ვადის დასრულების ან ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში „კომპანია“ ვალდებულია დაუყოვნებლივ დაუბრუნოს GWP-ს ყველა ფაილი, მასალა, დოკუმენტი, მონაცემი, ანგარიში, ჩანაწერი და/ან ნებისმიერი სხვა ქონება, რომელიც</p>	<p>"Agreement" or representations, warranties or liabilities indicated in the Annex to this "Agreement" (Code of Ethics and Conduct, anti-corruption policy, UN Global Compact);</p> <p>(d) by GWP at any time, without any justification by sending written notice to "Company" at least 7 (seven) calendar days in advance; or</p> <p>(e) at any time by mutual written agreement of the "Parties".</p> <p>(f) in other cases provided for in the "Agreement".</p> <p>9.3 If the "Agreement" is terminated by the "Company" when GWP is deprived of the opportunity to secure its interests otherwise, the "Company" shall compensate GWP for the damages caused by the termination of the "Agreement", unless the "Company" had a substantial reason to do so and it was known to GWP.</p> <p>9.4 The "Parties" agree that in case of termination of the "Agreement" for any reason, GWP will reimburse the "Company" only for the cost of "Goods" and/or "Services" actually received up to the date of termination (unless the reason for the termination of the "Agreement" is non-fulfillment of obligations by the "Company"), which must be confirmed by the act of acceptance signed by the "Parties". In addition, damages/losses (whether direct or indirect, material or non-property, actual or lost profits etc.) caused by GWP as a result of the termination of the "Agreement" will not be compensated by GWP, and the "Company" irrevocably and unconditionally waives in advance any future claim for the damages/losses (whether direct or indirect, material or non-property, actual or lost profits etc.), if any, suffered as a result of termination of the "Agreement".</p> <p>9.5 Upon expiration or termination of this "Agreement" for any reason, the "Company" shall immediately return to GWP all files, materials, documents, data, accounts, records and/or any other property transferred to the "Company" from GWP or which is acquired and/or created for GWP under this "Agreement".</p>
---	--

<p>გადაცემული ქონდა „კომპანიას“ GWP-სგან ან რომელიმე შეძენილი და/ან შექმნილი იქნა GWP-სათვის წინამდებარე „ხელშეკრულების“ ფარგლებში.</p>	
<p>10. ფორს-მაჟორი</p> <p>10.1 „მხარეები“ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან „ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არადროული შესრულებისათვის, თუ აღნიშნული გამოწვეული იქნება ფორსმაჟორული ვითარებით.</p> <p>10.2 „ხელშეკრულების“ მიზნებისათვის ფორსმაჟორული ვითარება, შეზღუდვის გარეშე, მოიცავს: ომს, ამბოხებას, სამოქალაქო არეულობას, მიწისძვრას, ხანძარს, აფეთქებას, ქარიშხალს, წყალდიდობას ან სხვა სტიქიურ უბედურებებს, ასევე სახელმწიფო დაწესებულებების სხვა ქმედებასა და უმოქმედობას, რომელიც „მხარეთა“ გონივრული კონტროლის ფარგლებს სცილდება და რომლის დადგომაც „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას შეუძლებელს ხდის.</p> <p>10.3 „მხარე“, რომელსაც ფორსმაჟორული ვითარება შეეხო, უმოკლეს ვადაში, მაგრამ ამგვარი გარემოების დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა, ვალდებულია, შეატყობინოს მეორე „მხარეს“ ამგვარი ფორსმაჟორული ვითარების თაობაზე, ფორსმაჟორული ვითარების ხასიათის და მისი შედეგების სათანადო აღწერით.</p> <p>10.4 ფორსმაჟორული ვითარების დადგომის შემთხვევაში, „მხარეთა“ „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება გადაიწევს ამგვარი ფორსმაჟორული ვითარების დამთავრებამდე/აღმოფხვრამდე.</p> <p>10.5 იმ შემთხვევაში, თუ ფორსმაჟორული ვითარება გასტანს ზედიზედ 45 (ორმოცდახუთი) კალენდარულ დღეზე მეტ ხანს, თითოეულ „მხარეს“ უფლება აქვს მეორე „მხარისათვის“ გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, შეწყვიტოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ ამგვარი შეწყვეტის შედეგად პასუხისმგებლობის დაკისრების გარეშე.</p>	<p>10 Force Majeure</p> <p>10.1 The "Parties" shall be relieved of responsibility for non-fulfillment or untimely fulfillment of obligations under the "Agreement", if it is caused by occurrence of Force Majeure circumstances.</p> <p>10.2 Force majeure circumstances for the purposes of the "Agreement" include, without limitation: war, insurrection, civil disorder, earthquake, fire, explosion, hurricane, flood or other natural disaster, as well as other actions or inactions of state institutions beyond the reasonable control of the "Parties" and the occurrence of which makes it impossible to fulfill the obligations stipulated by the "Agreement".</p> <p>10.3 The "Party" affected by the force majeure circumstances shall as soon as possible, but no later than 5 (five) calendar days after the occurrence of such circumstances, inform the other "Party" about such a force majeure circumstance, with a proper description of the nature and consequences of the force majeure circumstances.</p> <p>10.4 In the event of a force majeure circumstances the fulfillment of the obligations of the "parties" provided for in the "Agreement" will be postponed until the end/elimination of such force majeure circumstances.</p> <p>10.5 In the event that the force majeure circumstances last for more than 45 (forty-five) consecutive calendar days, each "Party" has the right to terminate this "Agreement" on the basis of written notice sent to the other "Party" without incurring liability as a result of such termination.</p>
<p>11. საბანკო გარანტია</p> <p>11.1 იმ შემთხვევაში თუ „ხელშეკრულების“ ძირითადი პირობების თანახმად, „კომპანია“ ვალდებულია GWP-ს წარუდგინოს საბანკო გარანტია, ასეთი გარანტია უნდა იყოს უპირობო და გამოუთხოვადი, საბანკო გარანტიის შინაარსი და საბანკო გარანტიის გამცემი პირი (გარანტი) წინასწარ უნდა შეთანხმდეს GWP-სთან. თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული „ხელშეკრულების“ ძირითადი პირობებით, საბანკო</p>	<p>11 Bank Guarantee</p> <p>11.1 If, according to the main terms of the "Agreement", the "Company" is obliged to provide a bank guarantee to GWP, such guarantee must be unconditional and irrevocable, the content of the bank guarantee and the person issuing the bank guarantee (guarantor) must be agreed with GWP in advance. Unless otherwise stipulated by the main terms of the "Agreement", the term of validity of the bank guarantee must be at least 30 calendar days longer than the term specified in the "Agreement" for the provision of services</p>

<p>გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული „მომსახურების გაწევის ან/და „საქონლის“ მიწოდებისთვის (რომელი ვადაც უფრო გვიან დადგება) განსაზღვრულ ვადას. საბანკო გარანტიასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა გაიღოს „კომპანიამ“.</p>	<p>and/or delivery of "Goods" (whichever occurs later). The costs related to the bank guarantee shall be borne by the "Company".</p>
<p>12. კონფიდენციალობა</p> <p>12.1 „კომპანია“ კისრულობს ვალდებულებას დაიცვას წინამდებარე „ხელშეკრულების“ შინაარსის კონფიდენციალობა და „ხელშეკრულების“ შესრულების პროცესში მიღებული ან/და მოპოვებული ინფორმაცია GWP-ის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ გაუმჟღავნოს მესამე პირებს და არ გახადოს ეს ინფორმაცია საჯაროდ ხელმისაწვდომი. კონფიდენციალურად ითვლება ნებისმიერი ინფორმაცია (ზეპირი თუ წერილობითი ფორმით და ნებისმიერ საშუალებაზე არსებული), რაც უკავშირდება GWP-ის საქმიანობას, ფინანსურ და სხვა საკითხებს, და რომელიც „კომპანიისთვის“ ან „კომპანიის“ დირექტორების, თანამშრომლების, დაქირავებული პირებისა და ქვეკონტრაქტორებისთვის ცნობილი გახდება წინამდებარე „ხელშეკრულებით“ გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროცესში და რომელიც არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი საზოგადოებისთვის.</p> <p>12.2 წინამდებარე „ხელშეკრულების“ 12.1 მუხლში მოცემული ვალდებულება არ ვრცელდება ინფორმაციაზე:</p> <ul style="list-style-type: none"> (ა) რომელიც არის ან გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი „კომპანიისაგან“ დამოუკიდებლად; (ბ) რომელიც ხელმისაწვდომი გახდება საჯაროდ „კომპანიის“ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულების“ პირობების შესაბამისად; (გ) რომელიც საჯაროდ ცნობილია წინამდებარე „ხელშეკრულების“ დაურღვევლად; (დ) რომელსაც უკვე ფლობდა „კომპანია“ წინამდებარე „ხელშეკრულების“ გაფორმებამდე და რომელთან დაკავშირებით არ არსებობდა კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება. ; (ვ) რომლის გამჟღავნებაც „კომპანიას“ მოეთხოვება, რომელიმე სახელმწიფო ორგანოს ან სამართალდამცავი ორგანოს მიერ კანონმდებლობის თანახმად, იმ პირობით, რომ კანონმდებლობით დაშვებულ ფარგლებში, „კომპანია“ GWP-ს დაუყოვნებლივ შეატყობინებს წინამდებარე პუნქტის თანახმად მოთხოვნილი გამჟღავნების გარემოებების შესახებ და „კომპანია“ კონფიდენციალურ ინფორმაციას გაამჟღავნებს მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია 	<p>12 Confidentiality</p> <p>12.1 The "Company" undertakes to protect the confidentiality of the content of this "Agreement" and not to disclose the information received and/or obtained during the execution of the "Agreement" to third parties or to make the information publicly available without the prior written consent of GWP. Any information (whether oral or written and in any medium) relating to GWP's business, financial or other matters, and which is not publicly available and is provided to the "Company" or the "Company's" directors, employees, hired persons and subcontractors under this "Agreement" in the process of fulfilling obligations is considered confidential.</p> <p>12.2 The obligation contained in clause 12.1 of this "Agreement" does not apply to information:</p> <ul style="list-style-type: none"> (a) that is or will become publicly available independently of the "Company"; (b) that is made publicly available by "Company" in accordance with the terms of this "Agreement"; (c) which is publicly known without violation of this "Agreement"; (d) which was already owned by the "Company" prior to the signing of this "Agreement" and in respect of which there was no obligation of confidentiality; (e) which the "Company" is required to disclose by any governmental authority or law enforcement agency under law, provided that, to the extent permitted by law, the Company shall promptly notify GWP of the circumstances of the disclosure required under this clause, and the "Company" shall disclose the Confidential Information Only to the extent necessary to satisfy the relevant request or need.

<p>შესაბამისი მოთხოვნის ან საჭიროების დასაკმაყოფილებლად.</p> <p>12.3 მუხლით 12.1 და 12.2 გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში GWP უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება</p> <p>12.4 ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის ვალდებულება ძალას ინარჩუნებს „ხელშეკრულების“ შეწყვეტის შემდეგაც უვადოდ.</p> <p>12.5 „კომპანიის“ დირექტორების, თანამშრომლების, დაქირავებული პირებისა და ქვეკონტრაქტორების მიერ წინამდებარე მე-12 მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში GWP უფლებამოსილია „კომპანიას“ მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება ხოლო „კომპანია“ ვალდებულია აუნაზღაუროს GWP-ს მიყენებული ზიანი.</p>	<p>12.3 In case of violation of the obligations stipulated in clauses 12.1 and 12.2, GWP is entitled to terminate this Agreement</p> <p>12.4 The obligation to keep information confidential shall remain in force in perpetuity even after termination of the "Agreement".</p> <p>12.5 In case of violation of the obligations stipulated in this clause 12 by the directors, employees, hired persons and subcontractors of the "Company", GWP may demand compensation of damages from the "Company" and the "Company" shall compensate GWP for the damage caused..</p>
<p>13. პერსონალური მონაცემები და ინფორმაციული უსაფრთხოება</p> <p>13.1 „კომპანია“ თანხმობას აცხადებს მისგან GWP-ისათვის გადაცემულ პერსონალურ მონაცემთა GWP-ის მიერ სახელშეკრულებო და კანონით გათვალისწინებული მიზნებით დამუშავებაზე, მათ შორის, მესამე პირებისათვის გადაცემაზე, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონისა და GWP-ის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ შესაბამისად. „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით „კომპანია“ ადასტურებს, რომ იგი გაეცნო GWP-ის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკას“ და მისი პირობების მიმართ პრეტენზიები არ გააჩნია.</p> <p>13.2 იმ შემთხვევაში, თუ ხდება „კომპანიის“ მიერ GWP-ისათვის მესამე პირების პერსონალურ მონაცემთა გადაცემა, „კომპანია“ აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ მას კანონის მოთხოვნათა დაცვით აქვს აღნიშნულის უფლება მოპოვებული. თუ „კომპანიის“ მიერ ამ განცხადებისა და გარანტიის დარღვევა გამოიწვევს GWP-ისათვის რაიმე პასუხისმგებლობის დაკისრებას, „კომპანია“ ვალდებულია აუნაზღაუროს GWP-ს მიყენებული ზიანი.</p> <p>13.3 „კომპანია“ ვალდებულია GWP-სა და მესამე პირების პერსონალური მონაცემები დაამუშავოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.</p> <p>13.4 „კომპანია“ ვალდებულია დაიცვას ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები. ამასთან „კომპანია“ ვალდებულია „მომსახურების“ გაწევა განახორციელოს იმგვარად, რომ საფრთხე არ შეექმნას GWP-ის ინფორმაციულ</p>	<p>13 Personal data and information security</p> <p>13.1 The "Company" declares its consent to the processing by GWP of the personal data transferred from it to GWP for contractual and legal purposes, including transfer to third parties, in accordance with the Law of Georgia "On Personal Data Protection" and GWP's "Personal Data Protection Policy". By signing the "Agreement", the "Company" confirms that it has read the "Personal Data Protection Policy" of GWP and has no complaints against its terms.</p> <p>13.2 In the event that the "Company" transfers personal data of third parties to GWP, the "Company" declares and guarantees that it has the right to do so in accordance with the requirements of the law. If the "Company's" breach of this representation and warranty results in any liability to GWP, the "Company" shall indemnify GWP against any damages.</p> <p>13.3 The "Company" is obliged to process personal data of GWP and third parties in full compliance with the law of Georgia "On Personal Data Protection".</p> <p>13.4 The "Company" is obliged to comply with the requirements of the Law of Georgia on Information Security. In addition, the "Company" is obliged to provide the "Service" in such a way that it does not pose a threat to the information resources of GWP and to follow the relevant standards necessary to ensure the information security of GWP in the field of services. The</p>

<p>რესურსს და დაიცვას მომსახურების სფეროში არსებული GWP-ის ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის საჭირო შესაბამისი სტანდარტები. „კომპანია“ ვალდებულია უზრუნველყოს თავისი ინფრასტრუქტურის, რომლის დაუცველობამ შესაძლოა გავლენა იქონიოს GWP-ზე, სათანადო დაცვა, რაც მოიცავს მათ შორის, მაგრამ არა მხოლოდ ლიცენზირებულ ანტი-ვირუსს, და ა.შ.</p> <p>13.5 „კომპანია“ თავად არის პასუხისმგებელი თავისი დირექტორების, თანამშრომლების, დაქირავებული პირებისა და ქვეკონტრაქტორების მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვისთვის გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებასა და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებაზე. იმ შემთხვევაში თუ „კომპანიის“, მისი დირექტორების, თანამშრომლების, დაქირავებული პირების ან ქვეკონტრაქტორების მიერ აღნიშნული მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს GWP-ს დაჯარიმებას ან/და სხვაგვარი სახდელის ან/და პასუხისმგებლობის დაკისრებას „კომპანია“ ვალდებულია აუნაზღაუროს GWP-ს მიყენებული ზიანი.</p>	<p>"Company" is obliged to ensure proper protection of its infrastructure, the vulnerability of which may affect GWP, by including but not limited to utilizing licensed anti-virus, etc.</p> <p>13.5 The "Company" itself is responsible for the fulfillment of the requirements for personal data protection by its directors, employees, hired persons and subcontractors and for the implementation of necessary measures to ensure security of information. In the event that the violation of the aforementioned requirements by the "Company", its directors, employees, hired persons or subcontractors results in GWP being fined and/or other form of penalties other and/or liability imposed, the "Company" shall compensate GWP for the damage caused.</p>
<p>14. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაჭრა</p> <p>14.1 „ხელშეკრულება“ რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით და განიმარტება მის შესაბამისად.</p> <p>14.2 „მხარეთა“ შორის „ხელშეკრულების“ ირგვლივ წამოჭრილი ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ „მხარეები“ ვერ შეძლებენ შეთანხმების მიღწევას, დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს შესაბამისი განსჯადობის სასამართლოს.</p>	<p>14 Governing Law and Dispute Resolution</p> <p>14.1 This Agreement shall be interpreted and governed by the laws of Georgia.</p> <p>14.2 Any dispute between the "Parties" regarding the "Agreement" shall be resolved through negotiation. In case the "parties" are unable to reach an agreement, the dispute will be referred to the court of Georgia.</p>

<p>15. დასკვნითი დებულებები</p> <p>15.1 „ხელშეკრულების“ ნებისმიერი ცვლილება/დამატება ძალაშია მხოლოდ „მხარეთა“ მიერ შესაბამისი წერილობითი შეთანხმებით გაფორმების შემდეგ.</p> <p>15.2 „ხელშეკრულების“ რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მისი სხვა დებულებ(ებ)ის ან/და მთლიანად „ხელშეკრულების“ ბათილობას. ბათილი დებულების ნაცვლად, გამოიყენება ისეთი დებულება, რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა „ხელშეკრულებით“ (მათ შორის ბათილი დებულებით) გათვალისწინებული მიზანი.</p> <p>15.3 „მხარეები“ ადასტურებენ, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ „ხელშეკრულების“ შინაარსი, იგი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ თავისუფალ ნებას და რომ მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა „ხელშეკრულების“ შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად.</p> <p>15.4 წინამდებარე „ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით „მხარეები“ აღიარებენ და ადასტურებენ, რომ მათ მიღებული აქვთ ყველა თანხმობა და დასტური, რომელიც შესაძლოა აუცილებელი იყოს ამ „ხელშეკრულების“ გაფორმებისთვის მათი შიდა კორპორატიული დოკუმენტებით ან/და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.</p> <p>15.5 წინამდებარე „ხელშეკრულება“ შედგენილია ქართულ ენაზე და ახლავს თარგმანი ინგლისურ ენაზე. ამ „ხელშეკრულების“ ქართულ ტექსტსა და ინგლისურ თარგმანს შორის ნებისმიერი, შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულ ტექსტს.</p> <p>15.6 წინამდებარე „ხელშეკრულების ზოგადი პირობები“ გაფორმებულია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება „GWP“-სთან, ხოლო მეორე - „კომპანიასთან“.</p>	<p>15 Final Provisions</p> <p>15.1 Any amendment/addendum to the “Agreement” shall enter into force only if it is agreed “Parties” in appropriate written form.</p> <p>15.2 The invalidity of any provision of the "Agreement" does not lead to the invalidity of its other provision(s) and/or the whole "Agreement". Instead of the invalid provision, such a provision is used, which more easily achieves the purpose provided by the "Agreement" (including the purpose of the invalid provision).</p> <p>15.3 The "Parties" confirm that they are aware of the content of the "Agreement", it accurately expresses the free will of the "Parties" and that their will was expressed as a result of a reasonable judgment of the content of the "Agreement".</p> <p>15.4 By signing this "Agreement", the "Parties" acknowledge and confirm that they have received all consents and confirmations that may be necessary for the execution of this "Agreement" by their internal corporate documents and/or the applicable laws of Georgia.</p> <p>15.5 This “Agreement” is executed in Georgian language and is accompanied by its translation in English. In case of any discrepancies between the Georgian text and the English translation of this “Agreement” the Georgian text shall prevail.</p> <p>15.6 This "General Terms of Agreement" is executed in two copies of equal legal force, one of which is kept with "GWP" and the other with "Company".</p>
<p style="text-align: center;">მხარეთა ხელმოწერები Signatures of the Parties</p>	
<p style="text-align: center;">GWP</p> <p style="text-align: center;">_____</p>	<p style="text-align: center;">„კომპანია“ / Company</p> <p style="text-align: center;">_____</p>



ნასყიდობის ხელშეკრულება/Purchase Agreement
ხელშეკრულების ზოგადი პირობები/
General Terms and Conditions
დანართი N1/Annex 1

GWP-ს დამტკიცებული აქვს ეთიკის და ქცევის კოდექსი და ანტიკორუფციული პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება გამჭვირვალობის, კეთილსინდისიერების, მიუკერძოებლობის პრინციპებს და მექრთამეობის, თაღლითობის, ტერორიზმის დაფინანსების, ფულის გათეთრების და კორუფციის ნებისმიერი გამოვლინების მიმართ ნულოვან ტოლერანტობას.

„კომპანია“ ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია GWP-ის ვებ-გვერდზე (www.gwp.ge) განთავსებული „GWP“-ს ეთიკის და ქცევის კოდექსის, ასევე ანტიკორუფციული პოლიტიკის შინაარსი და გავრცელების სფერო. „კომპანია“ ეთანხმება აღნიშნულ კოდექსს და პოლიტიკას და ადასტურებს, რომ დაიცავს აღნიშნულ დოკუმენტებში მოცემულ პირობებს და ასევე მიიღებს საჭირო ზომებს და უზრუნველყოფს მისი იმ თანამშრომლების, ქვე-კონტრაქტორების, აგენტების ან მესამე მხარეების მიერ მათ დაცვას, რომლებსაც შესაძლებელია ჰქონდეთ რაიმე სახის სამართლებრივი ურთიერთობა GWP-სთან, ნებისმიერი სამართლებრივი შეთანხმების ფარგლებში, რაც შეიძლება გაფორმებული იყოს მხარეთა შორის და ამგვარი სამართლებრივი ურთიერთობის არსებობის მთელი პერიოდის განმავლობაში.

„კომპანია“ ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ის არ შესთავაზებს, დაპირდება ან პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით არ გადასცემს ფულს, ღირებულების მქონე ნივთს ან სხვა საჩუქარს ან მისცემს პირობას საჯარო მოხელეს, ხელისუფლებას ან მესამე მხარეს, რაც შეიძლება წარმოადგენდეს კორუფციის ან ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიმართული რეგულაციების დარღვევას. „კომპანია“ ადასტურებს, რომ მას, ისევე როგორც ზემოთ აღნიშნულ მასთან დაკავშირებულ პირებს არ აქვთ რაიმე სახის ინტერესთა კონფლიქტი GWP-სთან და იღებს ვალდებულებას, რომ პატივს სცემს ანტიკორუფციულ და ფულის გათეთრების წინააღმდეგ კანონმდებლობას, რომელიც, ხელშეკრულების აღსრულების ადგილის ან ხელშეკრულების მხარეთა რეზიდენტობის გათვალისწინებით, ვრცელდება GWP-სთან სახელშეკრულებო ურთიერთობაზე.

„კომპანია“ იღებს ვალდებულებას, რომ იგი და მასთან დაკავშირებული ზემოთ აღნიშნული პირები, ნებისმიერი გარემოებისას, GWP-სთან კომერციული ურთიერთობის ფარგლებში, შეასრულებენ გაეროს გლობალური შეთანხმების 10 პრინციპს (<https://www.unglobalcompact.org/>), რომელთაც შეუერთდა FCC Aqualia S.A (GWP-ის არაპირდაპირი მფლობელი კომპანია) და ამასთან, უზრუნველყოფილი იქნება ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციით განსაზღვრული ადამიანის და შრომის ფუნდამენტური უფლებების, შრომის ფუნდამენტური უფლებების და

GWP has adopted a Code of Ethics and Conduct and an Anti-Corruption Policy based on the principles of transparency, honesty, impartiality and zero-tolerance to bribery, fraud, terrorism financing, money laundering and in general, against any manifestation of corruption.

The “Company” declares to know the content and scope of the Code of Ethics and Conduct and the Anti-Corruption Policy adopted by GWP, which are available in the corporate web (www.gwp.ge). The “Company” accepts them and commits to comply with them and make comply with them to any employee, subcontractors, agent or third party with whom they may have any kind of legal relation within the framework of whatever Agreement signed with GWP and while the legal relation exists, taking reasonable measures to that end.

The “Company” accepts that during the period of execution of this agreement, it will not offer, promise or give directly or through any intermediary money, valuable items or any other gift or promise to a public officer, public authority or third party which may constitute a break of the applicable regulation in relation to corruption or money laundering.

The “Company” states that neither itself nor any of the related parties listed above have any conflict of interest of any kind with GWP and undertakes to respect the laws in relation both to anti-corruption and money laundering matters which are applicable to the contractual relation with GWP due to the place of execution of the contract or the place of residence of the signatories to the Agreement.

The “Company” undertakes, under any circumstance within the frame of the commercial relation with GWP, to fulfill and have the related parties listed above fulfil with the ten principles of the UN Global Compact, to which FCC Aqualia, S.A. (majority shareholder of GWP owning “Company”) adheres (<https://www.unglobalcompact.org/>), as well as the fundamental human and labor rights contained in the Universal Declaration of Human Rights and the ILO Declaration and Conventions related to the fundamental labor rights and principles and the ILO Conventions.



ნასყიდობის ხელშეკრულება/Purchase Contract
ეთიკის და ქცევის კოდექსი. ანტიკორუფციული პოლიტიკა. გაეროს
გლობალური შეთანხმება/
Code of Ethics and Conduct. Anti-Corruption Policy. UN Global Compact
დანართი N2/Annex 2

<p>პრინციპების შესახებ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) დეკლარაციის და შსო კონვენციების დაცვა.</p> <p>„კომპანია“ იძლევა გარანტიას, რომ ის, ასევე, სადაც ეს რელევანტურია, მისი მფლობელები, მენეჯერები და საკვანძო პოზიციაზე მყოფი პირები არ ყოფილან ბრალდებულნი ქრთამის გაცემის ან მიღებისთვის ან სამსახურებრივი საქმიანობისას რაიმე სახის კორუფციული ქმედებისთვის ბოლო 5 წლის განმავლობაში.</p> <p>ეთიკის და ქცევის კოდექსსა და ანტიკორუფციულ პოლიტიკასთან ნებისმიერი სახით შეუსაბამობა, ან გარემოების არსებობა, რომელიც წარმოქმნის ინტერესთა კონფლიქტს ან კორუფციასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოფიციალური გამოძიება, ისევე როგორც, რაიმე სახით გაეროს გლობალური შეთანხმების პრინციპებთან ან ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციასთან ან შსო დეკლარაციასთან შესაბამისობის დარღვევა შესაძლოა გახდეს ხელშეკრულების დაუყოვნებლივ ცალმხრივად შეწყვეტის საფუძველი, GWP-სთვის რაიმე სახის პასუხისმგებლობის ან ჯარიმების დაკისრების გარეშე და ამასთან, GWP-ის უფლებამოსილია მოითხოვოს ზემოთ აღნიშნული მიზეზით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.</p> <p>GWP „კომპანიისათვის“ ხელმისაწვდომს ხდის თავის მამხილებელ არხს (whistleblowingline@ggu.ge), რათა შესაძლებელი იყოს ეთიკის და ქცევის კოდექსის და ანტიკორუფციული პოლიტიკის მიზნებთან დაკავშირებული შეტყობინებების წარდგენა.</p> <p>წინამდებარე დანართი შედგენილია ქართულ ენაზე და ახლავს თარგმანი ინგლისურ ენაზე. ამ დანართის ქართულ ტექსტსა და ინგლისურ თარგმანს შორის ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება ქართულ ტექსტს.</p>	<p>The “Company” guarantees that neither itself nor, if applicable, its owners, officers or key employees have been convicted for the offer or reception of bribes or any other corruption practices in relation to their work in the last (5) five years.</p> <p>The non-compliance in any way with the Code of Ethics and Conduct and the Anti-corruption Policy or the existence of a situation implying a conflict of interest or any official investigation related to corruption as well as the failure to comply with any of the principles contained in the UN Global Compact or the Universal Declaration of Human Rights or the ILO Declaration may result in the immediate termination of this Agreement, unilaterally and without penalty for GWP, which will have a right to claim the damages that are incurred for such reason.</p> <p>GWP makes available to the “Company” its whistleblowing hotline (whistleblowingline@ggu.ge) for the purpose of notifications related to the Code of Ethics and Conduct and the Anti-corruption Policy.</p> <p>This Annex is executed in Georgian language and is accompanied by its translation in English. In case of any discrepancies between the Georgian text and the English translation of this Annex the Georgian text shall prevail.</p>
მხარეთა ხელმოწერები Signatures of the Parties	
<p>GWP</p> <p>_____</p>	<p>„კომპანია“/ Company</p> <p>_____</p>